



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**თ ე რ ჯ ო ლ ა**  
**მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის**  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 102**

28/12/2017

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო**  
**მოსამსახურეების წახალისების შესახებ**

საკრებულოს საჯარო მოსამსახურეების მიერ, მათზე დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით წახალისების მიზნით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ პუნქტის. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-8 ნაწილის, „დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობაში დასაქმებულ პირებზე პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი“-ს შესაბამისად და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2017 წლის 28 დეკემბრის წერილობითი წინადადებების (მოხსენებითი ბარათის) საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

**მუხლი 1.** თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეებს (მათ შორის ხელშეკრულებით დაქირავებულებს) თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან მიეცეთ ფულადი თანხა დანართის მიხედვით განსაზღვრული ოდენობით.

**მუხლი 2.** ბრძანება ჩაბარდეს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო